პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

21 თებერვალი, შაბათი, 1987 წ.
№ 36 (9447) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სროლის საკავშირო კვირეული

ხშირად რეკავს რედაქციაში ტელეფონი: ცნობებს გვაწვდიან სროლის საკავშირო კვირეულის პროგრამით გამართული შეჯიბრებებისა და მასობრივი ღონისძიებების შესახებ. ეს ცნობა „სპარტაკის“ საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ **თენგიზ ჭანტურიამ** მოგვაწოდა:

— ჩავატარეთ მასობრივი შეჯიბრებები საწარმოო კოლექტივებში. 19 თებერვალს მშდ მრავალჭიდის პროგრამით ქალები შეეჯიბრნენ ერთმანეთს, ვაჟები 23 თებერვალს იასპარეზებენ. მსროლელები თბილისის 24-ე საშუალო, სკოლის ახლადგახსნილ ტირში იკრიბებიან. ამ სკოლას ჩვენი სპორტსაზოგადოება უწევს შეფობას.

ტყვიის სროლაში მასობრივი შეჯიბრებები მოვაწყვეთ რაიონის საშუალო სკოლების გუნდებს შორის. — გვაცნობა **კალინინის რაიონის** სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **ჯუდუ ჭამუშაძემ.** — ცეცხლის ხაზზე 160-მდე მოსწავლე გამოვიდა. პირველი ადგილი 58-ე კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდმა დაიკავა, მეორე ადგილზე გავიდა პირველი საშუალო სკოლის გუნდი, მესამეზე — 43-ე სკოლის ნორჩი მსროლელები. მშდ-ს ნორმატივი სროლაში ჩააბარა 76 მოსწავლემ.

მიმდინარეობს შეჯიბრებები მუშა-მოსამსახურეებს შორის.

საბჭოთა არმიის დღისადმი მიძღვნილ საკავშირო კვირეულს ტყვიის სროლაში თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი საკუთარ შენობაში მოწყობილი ახალი ტირის გახსნით შეხვდა. კვირეულისადმი მიძღვნილ შეჯიბრებებში, რომელიც 17-19 თებერვალს გაიმართა, 24 სასწავლო ჯგუფის 348 სტუდენტი მონაწილეობდა, აქედან 127-მა უკვე ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივი სროლაში.

ტელეფონის ხაზზეა **ხაჩერე.** 17 თებერვალს დაიწყო მასობრივი შეჯიბრებები. 30 კოლექტივმა უკვე დაამთავრა ასპარეზობა. დოსაფისა და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობით შეჯიბრებები გრძელდება, — გვატყობინებს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **თამაზ ლაშხი.**

გურამ მინაშვილი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე: ინსტიტუტის 25-მეტრიან ტირში დილიდან გვიან საღამომდე ერთმანეთს ცვლიან სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. მასობრივად ვაბარებთ სროლაში მშდ კომპლექსის ნორმატივებს.

საქარხნო რაიონი. პირველი ეტაპის შეჯიბრებებში თერთმეტი საშუალო სკოლის 1200-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდნენ საუკეთესო მსროლელები, მათთვის ცალკე ჩავატარებთ შეჯიბრებას, — გვაცნობა რაიონის სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ **თენგიზ ჩაჭარაშვილმა.**

ჟურადღების ცენტრშია მოსწავლეთა სპორტული თამაშები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების საკავშირო თამაშებისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იყო ძალოსნობისა და ხაბიადარო ნიჩბოსნობის საკითხი. შტაბმა აღნიშნა, რომ ძალოსნებს ყოველგვარი პირობები აქვთ შექმნილი ოსტატობის ასამაღლებლად და გაწეული მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად. ნიჩბოსანთა მომზადებაში თავი იჩინა პრობლემებმა, დაისახა კონკრეტული ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სხდომის შედეგები შეაჯამა შტაბის ხელმძღვანელმა, განათლების მინისტრის მოადგილემ გივი თალაკვაძემ.

* * *

საქართველოს სპორტსახკომში შეიქმნა სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს სპორტსახკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვაჟა შუბლაძე. გაიმართა პირველი სხდომა, რომელზეც გაანაწილეს ფუნქციები შტაბის წევრებს შორის და დამტკიცდა სამუშაო გეგმა.

შტაბის სხდომა გაიმართება ოთხშაბათობით.

დღეს მოსკოვსა და ალმა-ათაში

შარშან საქართველოს წყალბურთელებმა, თუ თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდს არ ჩავთვლით, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. საქართველოს ნაკრებმა საკავშირო სპარტაკიადაზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, თბილისის ასკ-მ I ლიგის საგზური დაიმსახურა. საკავშირო ნაკრებში კვლავ უხმეს თბილისის „დინამოს“ მეკარე გიორგაძეს; იმავე ნაკრების კანდიდატებად მიიწვიეს ასევე დინამოელები: უმცროსი გიორგაძე, გვახარია, ბითაძე, რამიშვილი და მაჭავარიანი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, მაგრამ ჩვენმა უპირველესმა გუნდმა, თბილისის „დინამომ“, შარშანდელი ჩემპიონატი, საბოლოო ანგარიშით, მაინც სუსტად ჩაატარა და VII ადგილზე დარჩა. იგი ძალზე არასტაბილურად გამოდიოდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მატჩების მთელი სიმძიმე ფაქტიურად მხოლოდ რვა-ცხრა წყალბურთელმა იტვირთა. გუნდის დანარჩენი, ახალგაზრდა წევრები მზად არ იყვნენ იმისთვის, რომ მთელი დატვირთვით ეთამაშათ.

ახლა, გუნდის უფროსი მწვრთნელის ირაკლი ჩხიკვაძის თქმით, მდგომარეობა გამოსწორდა და გუნდის წევრთა ძალა გათანაბდა, რაც წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში უკეთ გამოსვლის საწინდარი უნდა იყოს.

წლევანდელი ჩემპიონატი დღეს აიღებს სტარტს. პირველი წრის პირველი ტურის შეხვედრები მოსკოვსა და ალმა-ათაში გაიმართება. თბილისელები მოსკოვში იასპარეზებენ. აქ მათს გარდა გამოვლენ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, ხარკოვის „ლოკომოტივი“, სევასტოპოლის ჭრ, მოსკოვის სსფ ცსკ და ლენინგრადის „ბალტიკა“.

უმაღლესი ლიგის დანარჩენი გუნდები: მოსკოვის „დინამო“, ბაქოს კკფ, კიევის „დინამო“, ალმა-ათის „დინამო“, ლვოვის „დინამო“ და მოსკოვის „მოსკვიჩი“ უაზხეთის დედაქალაქში იასპარეზებენ.

* * *

სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩების ჩასატარებლად მოსკოვში გამგზავრების წინ თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდს შეხვდა რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობა. შეხვედრაზე აღინიშნა დინამოელთა გულმოდგინე მზადება ჩემპიონატისთვის. გამოითქვა რწმენა, რომ გუნდი ძალღონეს არ დაზოგავს, რათა იბრძოლოს მაღალი შედეგებისთვის და განამტკიცოს ქართველ წყალბურთელთა სახელოვანი ტრადიციები.

* * *

თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდმა, როგორც ჩვენს კორესპონდენტს დინამოელთა კომორგმა გ. ტუკვაძემ აცნობა, 1000 მანეთი შეიტანა დასავლეთ საქართველოს სტიქიური უბედურებისგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობის მატერიალური დახმარების ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ასპარეზობენ პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტუდენტები.

კარლო სალუქვაძის ფოტო.

ფინიშის სწორზე

გაზაფხულის მოახლოება უკვე ძალუმად იგრძნობა დასავლეთ საქართველოში. გაზაფხულთან ერთად ახალი სეზონიც რომ კარს მოგვადგა, ამას, უპირველეს ყოვლისა, ალბათ აქ, ლანჩხუთში, ახალ სტადიონზე იგრძნობთ. არა, შემთხვევით არ გვიხმარია ჩვენს ტრადიციულ შაბათის რეპორტაჟებში გამოთქმა „ახალი სტადიონი“. დიახ, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „გურიის“ სტადიონის შენებლობის ძირითადი ეტაპი დამთავრების სტადიაშია.

დღეს „საქჰიდროენერგომშენის“ საგზაო-სამშენებლო სამმართველოს წარმომადგენლები ჩრდილო-აღმოსავლეთ ტრიბუნაზე დაასრულებენ სკამების ბოლო რიგის დადგმას. გრძელდება ღებვა. ორიოდ დღეში ტრიბუნები მზად იქნება მაყურებლის მიხაღებად.

თუმცა ამჯერად უმჯობესია შემოგთავაზოთ ხაუბარი პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მეორე მდივან **ალბერტ ლომაძესთან** და საქაგრომშენის მთავარ ექსპერტ **ნოდარ ქაჯაიასთან,** რომელიც კოორდინაციას უწევს აქ დასაქმებული რესპუბლიკის სხვადასხვა სამშენებლო თუ სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაობას:

სტადიონი. დიახ, ლანჩხუთის ახალმშენებლობათა ამ ძირითად ობიექტზე სამუშაოები დასასრულს მიუახლოვდა. ახლა საჭიროა „საქმთავარსპეცმონტაჟის“ ქუთაისის სამმართველომ უმოკლეს დროში დაამთავროს ტრიბუნების სეისმური მდგრადობის გასაძლიერებლად საჭირო ლითონის კონსტრუქციების მონტაჟი. ამ დღეებში გრაფიკის მიხედვით დამთავრდება ლოჟების, რადიო-ტელევიზიის კომენტატორთა კაბინების მოპირკეთების სამუშაოები... ლანჩხუთის ახალი ხატელევიზიო ანძა კი მზად არის გადაცემების მიხაღებად.

განათების ანძები და ელექტროსაინფორმაციო ტაბლო. ანძებზე დროულად დაიდგა პროჟექტორები. „საქელექტრომშენის“ ქუთაისის სამმართველომ უნდა დააჩქაროს მათი გაშვება-გამართვის სამუშაოები. რაც შეეხება ტაბლოს, „საქსპორტმშენის“ კოლექტივი უკვე შეუდგა მის მონტაჟს, თუმცა მოწყობილობის ნაწილი ამ დღეებში კიდევ უნდა შემოიტანონ. ეს საქმე დასაჩქარებელია, რადგან ტაბლოს ზუსტი მოწყობილობების სამოლოო მონტაჟი დიდ შრომას მოითხოვს.

გასასდელები, საშხაპეები და სანიტარული კვანძები. დღეისათვის ძირითადი სამუშაოები შესრულებულია, მაგრამ აგრომშენის ცხაკაიას № 2 სარემონტო-სამშენებლო ტრესტმა უნდა გააძლიეროს ტემპი, რათა გასასდელები და საშხაპეები 27 თებერვლისთვის იყოს მზად. ასევე უნდა დაჩქარდეს სამუშაოთა შესრულება სანიტარული კვანძების მშენებლობაზე აგრომშენის № 3 სარემონტო-სამშენებლო ტრესტის სამტრედიის სამმართველომ. მიუხედავად იმისა, რომ გვიან შეუდგა საქმეს, ამ შრომისმოყვარე კოლექტივმა უნდა შეძლოს ვადების დაცვა.

შემოღობვა, სალარო ები, კეთილმოწყობა. შემოღობვის შრომატევადი სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია. ეს განპირობა ამერიკაკასიის ტრანსმშენის (უფროსი ლ. მეგრელიშვილი) № 814 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის (უფროსი თ. ჭყოიძე) კოლექტივის ენერგიულმა საქმიანობამ. მონდომებით იშრომეს სამუშაოთა მწარმოებელმა დ. გაგოშიძემ, ბრიგადირმა მიქაუტაძემ, მოწინავე მუშებმა სოფრომაძემ, ედიშერაშვილმა, ბუბაშვილმა, ჭოხონელიძემ და გაგოშიძემ.

ასევე მაღალი ტემპით მიმდინარეობს კეთილმოწყობითი სამუშაოები. უამინდობის მიუხედავად, ხუფსის №6 საგზაო უბნის (უფროსი ჭ. ცინცაძე) კოლექტივი მაქსიმალური დატვირთვით შრომობს.

გრიგოლეთის ბაზა. აქაურ მოედანზე დღეს მთავრდება ბელტების დაგება. თუმცა კიდევ ორი მოედანი კეთდება — წიდიხსაფარიანი და ასფალტიანი.

ბაზამ ფეხბურთელები 28 თებერვალს უნდა მიიღოს, მაგრამ გათბობის სისტემისა და ცხელი წყლით მომარაგების საქმე ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული. საქვაბის მშენებლობა გვიან დაიწყო და მისი თვის ბოლომდე დამთავრება ხაეჭვოა. ჯერაც არ არის შემოზიდული სამაზუთო მეურნეობის მოწყობილობა. დასაჩქარებელია წყალდამწნევი კოშკის მონტაჟი.

რაც შეეხება სასადილოს მშენებლობას, აქ საკითხი ძალიან ხერხიოზულად დგას. საქაგრომშენის № 10 ტრესტის (მმართველი ო. ჩარკვიანი) ქობულეთის სამმართველოს (უფროსი რ. წულუკიძე) კოლექტივს მუშაობაში მკვეთრი გარდატეხის შეტანა დასჭირდება, რათა ობიექტი დროულად დაამთავროს.

თამაზ ხარაბაძე,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).

ლანჩხუთი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„ყველას გასაგონად ვამბობთ...“

14 თებერვალს ამ სათაურით „ლელოში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილზე რედაქციას პასუხი გამოუგზავნა თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექციამ. პასუხში ვკითხულობთ: „კრიტიკა, რომელიც იპოდრომის დასურული მანეჟის გაუმართავ მუშაობასა და უწესრიგობას შეეხებოდა, სამართლიანია.

ამჟამად საცხენოსნო ტურიზმი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბაზა, რომელსაც მანეჟის მომსახურება ევალებოდა, საქსახაგრომრეწვის გადაწყვეტილებით იპოდრომს გამოეყო. ამიერიდან მანეჟის მუშაობას უშუალოდ იპოდრომის დირექცია უხელმძღვანელებს. უკვე გატარდა კონკრეტული ღონისძიებები: მანეჟი დასუფთავდა, ჩაისხა მინები, არენა სისტემატურად ირწყვება, გაიწმინდა აგრეთვე მიმდებარე ტერიტორია, განახლდა გამაჯანსაღებელი ჯგუფის მუშაობა, სპეციალისტებით გადახალისდა მწვრთნელთა კადრები“.

მიხეილ ტატიშვილი,
იპოდრომის დირექტორი.



ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოშვება №1 (13)

თავი ისევ ახალგაზრდა მგონია

წელიწადის ნებისმიერ დროს, დარსა თუ ავდარში, ზუგდიდში, „დინამოს“ სტადიონის სარბენ ბილიკებზე და ბოტანიკურ ბაღში ხალხმრავლობაა. სპორტსმენების გარდა აქ მოდიან სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები, მოდიან რათა ივარჯიშონ, ჯანმრთელობა გაიკაჟონ.

...სამხრეთის ტრიბუნის წინ ქალების ერთი ჯგუფი მეცადინეობს, სიმსუქნეს ებრძვიან არა დიეტით, არამედ ფიზიკური ვარჯიშით.

— გამოგიტყდებით, წონის დასაკლებად რა ხერხს არ მივმართე — ამბობს მერი ალანია. — ბოლოს გადავწყვიტე სტადიონზე სირბილი დამეწყო, პირველად მერიდებოდა, მაგრამ ახლა სხვებსაც ვურჩევ აქ იარონ. „ფორმასაც“ ვინარჩუნებ და ჯანმრთელობასაც ვიხანგრძლივებ.

მოპირდაპირე მხარეს „სტაქიან“ მოყვარულებთან ერთად ახალბედებიც ვარჯიშობენ. ყველაზე უფროსი — ლუბა გოგინავა 72 წლისაა, უმცროსი — ზაზა კირვალიძე ჯერ ექვსის არ შესრულებულა. ქალბატონი ლუბა, სანამ სტადიონზე მოვიდოდა, გულს უჩიოდა, იმკურნალა კიდეც, მაგრამ შემდეგ თვითონ „დაინიშნა“ გამჯანსაღებელი ფიზკულტურა.

— სტადიონმა მეორე სიცოცხლე მაჩუქა, — ამბობს ის — ოც წელზე მეტია, რაც ვარჯიში დავიწყე, მას შემდეგ ავად არ გავმხდარვარ, არადა, სანამ აქ მოვიდოდი, გულის შეტევები საშველს არ მაძლევდა. ჩემი შვილიშვილის შვილი ზაზაც მოვიყვანე სტადიონზე. პირადი გამოცდილებით ვიცი, რა არის ფიზკულტურა და სპორტი. ამიტომაც მინდა აქედანვე მივაჩვიო სხეულის წრთობას.

— მე მიყვარს სირბილი — ამბობს პატარა ზაზა. — ბურთით თამაშიც მიყვარს, სკოლაში რომ წავალ, ამხანაგებთან ერთამაშებ.

სტადიონიდან ბოტანიკურ ბაღში გადავინაცვლე. აქ მამაკაცები ვარჯიშობენ. აგერ ბიქტორ გერსამია, ხუთი წელია ვარჯიშობს და თითქმის დაუჯერებელ ამბავს ჰყვება: — თორმეტი წელი საავადმყოფოდან საავადმყოფოში დავდიოდი, ჰიპერტონიით ვიყავი დაავადებული, არაფერმა რომ არ გასჭრა, ერთმა ექიმმა გამჯანსაღებელი ფიზკულტურა მირჩია. მეც ყოველ დილით ამ ბაღში დავრბივარ, მერე ციცი ტილოთი ტანს ვიზელ და მთელი დღე თავი ისევ ახალგაზრდა მგონია. მინდა ყველა დავარწმუნო იმაში, რომ წამალზე უებარი სტადიონია.

...ბაღში ველოსიპედისტებსაც შეეხვდით. სტუდენტები აღმოჩნდნენ, ზამთრის სესიების შემდეგ შინ ჩამოსულან და ველოსიპედით სეირნობენ.

სტადიონის დირექცია ყოველნაირად უწყობს ხელს გამჯანსაღებელი ჯგუფების მუშაობას. მართალია, ჯგუფებს მეცადინეობის მკაცრად განსაზღვრული გრაფიკი არა აქვს, მაგრამ ყველას თავისი მწვრთნელი ჰყავს, ჯგუფის წევრებს შესაძლებლობა აქვთ გაიიარონ სამედიცინო შემოწმება, ყველა მსურველს შეუძლია გამჯანსაღებელ ჯგუფებში ივარჯიშოს. „დინამოს“ დირექცია აკმაყოფილებს კოლექტიურ მოთხოვნასაც — ჯანმრთელობის ჯგუფში შეიძლება მთელი საწარმოს კოლექტივი ჩაებას.

...მოსაღამოვდა, მაგრამ სტადიონი არ დაცარიელებულა. მეცადინეობას იწყებს რიტმული ტანვარჯიშის ჯგუფი. დიდი ხანი არაა, რაც ზუგდიდში რიტმულ ტანვარჯიშს მისდევენ, მაგრამ შედეგი თვალსაჩინოა.

— ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ რიტმული ტანვარჯიშის სიკეთეზე. მეც მინდოდა მევარჯიშა, მაგრამ ამის საშუალება ზუგდიდში არ იყო. — მითხრა ჯგუფის ერთერთმა წევრმა ნანა კვირკველიამ. — სამსახურში მთელი დღე ვზიხარ. როგორც კი გაიხსნა ჯგუფი, მაშინვე ჩავეწერე. გარდა იმისა, რომ სხეულს აწრთობს, დასვენების უებარი საშუალებაცაა. აქედან წასული ისე ლაღად და მსუბუქად ვგრძნობ თავს, მგონია კი არ დავდივარ, დავფრინავ.

ისმის მუსიკა. იწყება მეცადინეობა. თანდათან ვარჯიში რთულდება, ტემპიც მატულობს. მწვრთნელი მითითებებს იძლევა. რაც დრო გადის, ხალისი და ენერგია ემატებათ მოვარჯიშეებს...

მანანა სოხელია.

„ლელოს“ სპეც. კორ.

ზუგდიდი.

ჯანმრთელობა ყველას!

საქართველოს სპორტსახკომმა ამ დღეებში გამოსცა ბრძანება „სპორტის მასობრივ სახეობებში ერთიანი რესპუბლიკური პირველობების ჩატარების შესახებ“. ღონისძიება მიზნად ისახავს მოსწავლეების, სტუდენტების, მუშამოსამსახურეების, წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდების, ინტელიგენციის მასობრივად ჩაბმას ფიზკულტურასა და სპორტში. შეჯიბრებები ჩატარდება სამ ეტაპად. ამჟამად მიმდინარეობს სროლის კვირეული. მარტში სპორტული თამაშების კვირეული ჩატარდება.

პატარავ, მოიკიდე ზურგჩანთა

უკვე ხუთი წელია, რაც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის № 3 საბავშვო ბაღში შეიქმნა ტურისტული კლუბი „ცეროდენა“. კლუბის დევიზია: „ჯანსაღ სხეულში— ჯანსაღი სული“. აქ ხშირად ნახავთ სპორტულ ფორმებში გამოწყობილ, ზურგჩანთამოკიდებულ ნორჩ ტურისტებს.

ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას“ თავმჯდომარის, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის ოსტატის დ. კავთელაშვილის ხელმძღვანელობით ბავშვები ეჩვევიან დაბრკოლებების გადალახვას, ტურისტული საუზმის მომზადებას, კარვის გამართვას, დიდი ინტერესით უყურებენ ფილმებსა და დიაფილმებს ტურისტების ცხოვრებაზე, ხვდებიან ცნობილ სპორტსმენებს, ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, რაიონის ბუნებრივ სიმდიდრეებს, ისტორიულ ადგილებს. აღსანიშნავია, რომ ლაშქრობებში ხშირად მათი მშობლებიც მონაწილეობენ.

სიახლეთა ესტაფეტა

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ სპორტკომიტეტის მუშაობაში დიდი ხანია სიახლეა. დედაქალაქის გაზეთები სპორტკომიტეტიდან მიღებული ცნობების საფუძველზე რეგულარულად აქვეყნებს ოპერატიულ და მრავალფეროვან ინფორმაციას ქალაქის ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების შესახებ. გაზეთები მოსკოველებს ეპატიჟებიან ექსკურსიებზე, ტურისტულ ლაშქრობებში და ა. შ.

რა არის „გამი“

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ (საკდესი). ბუდაპეშტის ფიზიკური აღზრდის აკადემიის დოცენტმა, ექიმმა ფერენც გალლამ შექმნა აპარატი სახელწოდებით „გამი“, რომელსაც შეუძლია ყოველმხრივ გამოიკვლიოს და განსაზღვროს ბავშვის მონაცემები და მიდრეკილებები სპორტის ამა თუ იმ სახეობისადმი. აპარატითა და მისი ე. წ. მისადგმელებით გამოცდილ სპორტსმენებსაც შეუძლიათ ისარგებლონ — „გამი“ მათ შემდგომ დოსტატებაში დაეხმარება.

აპარატის საშუალებით ადგენენ, და საკმაოდ ზუსტადაც, სპორტსმენის ამტანიანობას, სისწრაფესა და მანევრუნარიანობას.

მისადგმელი „ფორმები“ ეხმარება ჩოგბურთელებს, ფეხბურთელებს, მოკრივეებსა და მძლეოსნებს, ე. ი. იმ სპორტსმენებს, ვისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ზუსტ მიზანს, მოძრაობის სისწრაფეს.

„ლატვერი“ ზომავს ფეხის მუშაობის ტემპს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ფეხბურთელთათვის, მოთხილამურეთათვის, ჩოგბურთელთა და მოჭიდავეთათვის.

„მოფერერი“ ადგენს გამაღიზიანებლებისადმი სხეულის სხვადასხვა ნაწილის რეაქციის სისწრაფეს, ხოლო „ციფამერი“ — კუნთების ელასტიურობას და სისწრაფეს.

აპარატი „გამი“ დაპატენტებულია უნგრეთში. ამ უნიკალური დანადგარით უკვე დაინტერესდნენ იაპონური, ავსტრიული და იტალიური ფირმები. თავად უნგრეთში მრავალი სკოლა და სპორტული კლუბი აპირებს აპარატის შესყიდვას.

● **ᲣᲡᲢ-ᲙᲐᲛᲔᲜᲒᲝᲠᲡᲙᲨᲘ** დიდი პოპულარობით სარგებლობს „ჯანმრთელობის“ მატარებელი. ყოველ კვირა დღეს მატარებელს 700-მდე გაჯანსაღების მსურველი გაჰყავს ქალაქგარეთ. აქტიური დასვენების მოყვარულთათვის ეწყობა მასობრივ-გამჯანსაღებელი ღონისძიებები.

შევამოწმოთ ჩვენი შრომისუნარიანობა

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ნეკრასოვი გვთავაზობს ტესტს, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ, რამდენად დაკვირვებულები ვართ.

დავხედოთ ნახატს. დიდი კვადრატი დაყოფილია 16 პატარა, დიაგონალით ორად გაყოფილ კვადრატად. კვადრატის ქვედა ნაწილში ციფრები 1-იდან 16-მდე რიგის მიხედვითაა განლაგებული, ზედა ნაწილში კი — უწესრიგოდ. ამოცანა შემდეგში მდგომარეობს: მოვძებნოთ და ხმამაღლა, რიგის მიხედვით წავიკითხოთ ციფრი 1-იდან — 16-მდე. თუ ეს 20 წამზე ადრე შევძელით, შესაშური დაკვირვების უნარი და შრომისუნარიანობა გვქონია. 21-25 წამი კარგ შრომისუნარიანობაზე მიუთითებს, 26-35 — საშუალოზე. მაგრამ თუ წამმზომმა 36-40 წმ აჩვენა, ეს იმას ნიშნავს, რომ შრომისუნარიანობა ძალიან დაქვეითებულია. დროის გარდა მნიშვნელობა აქვს ციფრების წაკითხვის რიტმსაც. ცუდი ნიშანია ყურადღების „ჩავარღნები“ — როდესაც რამდენიმე უცებ მოძებნილი ციფრის შემდეგ დიდხანს ვეღარ იპოვით შემდეგ ციფრს.



რა უნდა ვქნათ, თუ საკმარისი დაკვირვების უნარი არ აღმოგვაჩნდა? მდგომარეობის გამოსწორებაში დაგვეხმარება სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშები და კარგი დასვენება.

დღეგრძელობის იეროგლიფები

ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲚᲔᲑᲡ არხთან, რომელიც გარს უვლის პეკინს, ქალაქის ყველა რაიონიდან მოსულ უამრავ მაყურებელს მოეყარა თავი. თავშეყრის ადგილიდან მუსიკის ხმა ისმოდა. შეკრებილთ თბილად ეცვათ, მაგრამ ისე ციოდა, რომ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ და დოლის ხმის ტაქტზე აწყობილი ფეხებისა ბაკუნით მიმოდიოდნენ. ბოლოს ქარისგან ატკრეალებული ფერადი დროშებით მორთულ არხის დამრეც ნაპირზე პეკინელთათვის უჩვეულო სპორტის სახეობის — ზამთრის ცურვის მიმდევართა ორმოცდაათკაციანი ჯგუფი გამოჩნდა. მათ შორის ქალები, ბავშვები და მოხუცებიც იყვნენ. აუჩქარებლად გაიხადეს, ცოტა წაივარჯიშეს, ფრთხილად ჩავიდნენ ატალღებულ წყალში და ჯგუფად გაცურეს.

დაწინაურებულებმა თავს ზემოთ დიდი წითელი ნაჭერი აღმართეს, რომელზეც თეთრი იეროგლიფებით ეწერა: „პეკინელ ზამთრის ცურვის მოყვარულთა გაცურვა“. პეკინელმა „ზღვის ლომებმა“ დაახლოებით ორმოცდაათ მეტრზე გაცურეს, შემდეგ უკან გამობრუნდნენ და ფრთხილად ამოვიდნენ ნაპირზე. მაყურებლებმა, რომლებიც ტაშით შეეგებნენ მოცურავეებს, ალყაში მოიქცეს ისინი და გამოკითხვა დაუწყეს. „ზღვის ლომებმა“ ისევე მშვიდად, აუჩქარებლად დაიწყეს ჩაცმა, როგორც გაიხადეს, თან ცნობისმოყვარეებს თავაზიანად პასუხობდნენ შეკითხვებზე. გამოირკვა, რომ ისინი არხის ახლო-მახლო რაიონებში ცხოვრობენ და მთელი წლის განმავლობაში მისდევენ ცურვას.

ჩინეთის ცენტრალური ტელევიზიის ცნობით, იმ დღეს მასობრივი ზამთრის ცურვები ჩატარდა ხარბინში, შენიანში და გუანჩოუში.

სპორტის ცხრა სახეობაში

დამთავრდა „ჯანმრთელობის“ მეოთხე საქალაქო სპარტაკიადა, რომლის ორგანიზატორი იყო თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველო. სპარტაკიადის მონაწილეები სპორტის ცხრა სახეობაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, სტარტზე გამოვიდა დედაქალაქის ათივე საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის ათასამდე ფიზკულტურელი.

საერთო ჩათვლაში 53 ქულით პირველი ადგილი დაიკავა ორჯონიკიძის სახელობის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის გუნდმა (ტრესტის მმართველი დ. აგლაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი გ. მიქაძე). 49 ქულა მოაგროვეს და მეორე ადგილზე გავიდნენ ოქტომბრის რაიონის წარმომადგენლები, მესამე იყო საქარხნო რაიონის კოლექტივი — 48 ქულა.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

მუსიკა — მკურნალი

სანატორიუმ „იაუნკემერში“ (იურმალა) გაიხსნა ახალი საექმო კაბინეტი, სადაც დამსვენებლებს წამლით არ მკურნალობენ. ოთახში ისმის სასიამოვნო მსუბუქი მუსიკა, ეკრანზე აჩვენებენ ფერად სლაიდებს, პარალელურად ექიმი რჩევა-დარიგებებს იძლევა.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ფსიქოთერაპიის სეანსები გულსისხლძარღვთა დაავადებულთათვის წამალზე უკეთესი მკურნალია.

„ფეთქავს“ გული

მედიცინაში სტრესი ნიშნავს ორგანიზმის სასასუხო რეაქციას ძლიერ გამღიზიანებელზე — ფიზიკურ ან ფსიქიკურ ტრავმებზე. ყოველგვარი ემოცია პირველ რიგში გულზე მოქმედებს. მწუხარებაც და სიხარულიც თანაბრად არღვევს გულის მუშაობის რიტმს. მღელვარებისას ჩვენი პულსის სიხშირე წუთში 140-160 დარტყმას აღწევს, მატულობს სისხლის წნევა. ამ დროს ადამიანს ეძლევა დიდი ფიზიკური ძალა — თვით ყველაზე სუსტსაც კი სასწაულმოქმედი ძალისა და ამტანობის გამომჟღავნება შეუძლია.

ადამიანის ორგანიზმს აქვს რეზერვები საიმისოდ, რომ ამ დამატებით დატვირთვებს გაუძლოს. მიუხედავად ამისა, ემოციური დარტყმებისაგან გული ზედმეტად იტვირთება და თანდათან ვითარდება ჰიპერტონია, სპაზმებისაკენ მიდრეკილება.

სტრესულ მდგომარეობაში იზრდება სისხლის შედედების უნარი, რამაც შეიძლება განავითაროს ტრომბი, ინსულტი, ან მიოკარდის ინფარქტი. გარდა ამისა, სტრესულ მდგომარეობაში სისხლში გამოიყოფა ჰორმონები, რომლებიც მოქმედებენ ფილტვებზე, თირკმელებზე, კუჭზე, ნაწლავებზე და საოფლე ჯირკვლებზეც კი. ამიტომაა დიდი შიშის ან სიხარულის დროს გამალებით რომ ფეთქავს გული, წითლდება ან ფერი ეკარგება ადამიანს.

რა ვიღონოთ, როგორ ვიხსნათ გული მავნე ზემოქმედებისაგან? ცხოვრება ხომ წარმოუდგენელია სტრესებისა და ემოციების გარეშე, მაგრამ გამოსავალი მოიძებნება. ფსიქიკურად გაწონასწორებული ადამიანი შედარებით მშვიდად ხვდება ცხოვრების „დარტყმებს“. მაშასადამე საჭიროა გავიკაჟოთ ჩვენი ნერვული სისტემა. რეცეპტი ცნობილია: ფიზიკური ვარჯიში, კარგი ძილი. ჩვენი თავის მართვაში დაგვეხმარება აუტოგენური ვარჯიშები, სწორედ ისინი დაგვიცავენ არასასურველი სტრესებისაგან.

რეკორდი ჯანმრთელობისთვის

49 წლის ამერიკელმა მერი გუდვინმა გადაწყვიტა გაირბინოს 2,5 ათასზე მეტი კილომეტრი. იგი სტარტს იაპონიის კუნძულ ხოკაიდოს ჩრდილო ნაწილში აიღებს და მარათონს კუნძულ კიუსიუს სამხრეთ სანაპიროებთან დაამთავრებს. მერის იმედი აქვს, რომ მისი 6-კვირიანი „მოგზაურობა“ „გინესის რეკორდების წიგნში“ შევა, მაგრამ იგი მხოლოდ დიდებისაკენ ლტოლვამ როდი აიძულა შეჭიდებოდა ესოდენ მძიმე ტვირთს.

10 წლის წინ მერიმ გადაიტანა ხერხემლის მძიმე ოპერაცია, რის შემდეგაც მისთვის მკურნალობის ძირითად საშუალებად სპორტი იქცა. მან უკვე რამდენიმე არხი და სრუტე, მათ შორის გიბრალტარის სრუტე, გადაცურა, 1,5 ათასი კილომეტრი კი სირბილით დაფარა.

უელსი—სსრ კავშირი

განვლილ ოთხშაბათს უელსის ქალაქ სუონსიში შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში უელსისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. ორივე გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრებისთვის ემზადება, მატჩიც ამ მზადების პროგრამით იყო დაგეგმილი.

თამაში საინტერესოდ, ორმხრივი იერიშებით მიმდინარეობდა, როგორც მასპინძლებს, ისე სტუმრებს ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ, მიუხედავად ამისა, მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

აღნიშნავენ, რომ თამაში მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა, გაიფრთხილეს ჩვენი ფეხბურთელები ზავაროვი და სულაქველიძე.

საბჭოთა ნაკრებში იყვნენ: ჩანოვი, სულაქველიძე, ჩივაძე, ბალტაჩა, დემიანენკო, რაცი, იაკოვენკო, კუზნეცოვი, ზავაროვი, ევტუშენკო (გოცმანოვი, 65-ე წუთი), ბელანოვი (პროტასოვი, 74).

მატჩის დამთავრების შემდეგ პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ ორივე გუნდის მწვრთნელები.

მ. ინგლანდი (უელსი): „ბოლო წლების მანძილზე უელსის ნაკრებს არა ჰყოლია ისეთი ძლიერი შემადგენლობა, როგორც ახლა. განვლილი მატჩი მეტად სასარგებლო იყო ჩვენთვის, ვინაიდან საბჭოთა კავშირის გუნდი ერთ-ერთ უძლიერესად მიგვაჩნია მსოფლიოში და სწორედ ასეთ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრებში გვესაჭიროება ძალების შემოწმება“.

ვ. ლობანოვსკი (სსრ კავშირი): „განვლილ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანა. საბჭოთა ნაკრების მზადების გეგმა ამჟამად კლუბურ ხასიათს ატარებს, ამიტომ შეკრებაზე მხოლოდ რამდენიმე დღით ვიყრით თავს, თვეში ერთხელ კი ჩავატარებთ საკონტროლო თამაშებს ფეხბურთელთა ფორმის შესამოწმებლად და ახალი კანდიდატების გასასინჯად. ჩვენი გუნდი ახლა დამაკმაყოფილებელ დონეზე თამაშობს, ეს კარგად დადასტურდა განვლილ მატჩში, ვინაიდან უელსის ნაკრების ფეხბურთელები ახლა საუკეთესო ფორმაში იმყოფებიან“.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან ჩვენს ფეხბურთელებს 29 აპრილს ექნებათ კიევში, მანამდე კი, 18 აპრილს, ისინი შვეიცის ეროვნულ გუნდთან ითამაშებენ თბილისში.

საკონტროლო მატჩები

გუშინ ლესელიძეში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ჩაატარეს მორიგი შეხვედრა. ამჯერად მათი მეტოქე იყო უნგრეთის „ჩეპელი“. ბუდაპეშტის ეს ერთ დროს ძლიერი კლუბი („ჩეპელი“ ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონია) გასულ სეზონში წარუმატებლად გამოდიოდა, პირველი ლიგა დატოვა. ახლა იგი მეორე ლიგაშია და იბრძვის უძლიერესთა შორის ადგილის დასაბრუნებლად. როგორც გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, უნგრეთის ნაკრების ყოფილმა მეკარემ იოზეფ გელეიმ გვითხრა, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ჩეპელის“ ტურნეს ჩვენს ქვეყანაში. უნგრელთა გუნდს აკლია მხოლოდ ერთი წამყვანი მოთამაშე — სებედინსკი, რომელიც შინ დარჩა მუხლის ოპერაციის გასაკეთებლად. „ჩეპელი“ მით უფრო მონდომებით ემზადება თავისი ქვეყნის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპისთვის, რომ წლეულს კლუბი დაარსების 75 წლისთავს იზეიმებს და პირველ ლიგაში დაბრუნება საუკეთესო საჩუქარი იქნება მისი გულშემატკივრებისთვის.

რაც შეეხება თვით თამაშს, იგი თბილისელთა უპირატესობით წარიმართა. ანგარიში 39-ე წუთზე გაიხსნა. ჩვენმა ფეხბურთელებმა ზედიზედ ოთხი კუთხური მიაწოდეს. ბოლოს და ბოლოს ცაავამ მიერ ჩამოწოდებულ ბურთს ჩელებაძემ მიუსწრო და თავური დარტყმით გოლი გაიტანა. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე შესანიშნავად ითამაშა სოსო ჭედიამ. მისი ღრმა რეიდი იმავე ჩელებაძესთან სწრაფად გათამაშებული „კედლით“ და მცველის ზუსტი დარტყმით დამთავრდა — 2:0. თუმცა მეორე ტაიმში თბილისელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს (65-ე წუთზე ჩელებაძემ ჩვეული ოსტატობით გამოიყენა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა), უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ნახევარში ისინი უკეთესად თამაშობდნენ. გოლის გატანა შეეძლოთ ჩელებაძეს, რევიშვილს, კორღალიძეს, გურულს, მაგრამ მათი დარტყმა ან მიზანს სცდებოდა, ან უნგრელთა მეკარე იდგა მოწოდების სიმაღლეზე. საბოლოოდ დინამოელებმა გაიმარჯვეს — 3:0.

„დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია (აბუსერიძე, 69), კეტაშვილი, ცაავა, ჭედია, მალანია, კაკილაშვილი (ბიგვავა, 79), სვანაძე, აფციაური (ყორდანია, 73), კორღალიძე, ჩელებაძე (გურული, 69), რევიშვილი (გოგრიჭიანი, 77).

ამავე დღეს ლანჩხუთის „გურია“ ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ხების „რუდა გვეზდას“ შეხვდა და წააგო — 0:3 (0:2).

„გურიის“ შემადგენლობა: იმნაძე, კონდრატიევი, მახარაძე, შვეცოვი, დანელია, ბონდარუკი, ა. კაპანაძე, გილიგაშვილი, მეგრელაძე, ი. კაპანაძე, ხაგბა.

გუშინვე კიევის „დინამო“, რომელმაც მეორე შემადგენლობით იასპარეზი, დამარცხდა ჩეხოსლოვაკიის „სიგმასთან“ — 0:1, მოსკოვის „დინამომ“ მოუგო პოლონეთის „ვისლას“ — 2:1.

ზურაბ ფოცხვერია,
„ლელოს“ სპეც. კორ.

საერთაშორისო ამხანაგური

ჰავრი. საფრანგეთის ამ ქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა მოსკოვის „ტორპედომ“, რომელიც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მატჩისთვის ემზადება საფრანგეთის „ბორდოსთან“.

შეხვედრა „ჰავრთან“ „ტორპედომ“ ფრედ დაამთავრა — 0:0.

კანბერა. მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ახალ ზელანდიაში ბოლო ორი მატჩი ჩაატარეს. ქ. ტაურანგში მინსკელებმა ფრედ ითამაშეს — 0:0, ხოლო ქ. კრაისტჩერჩში გაიმარჯვეს — 2:0. მინსკელი ფეხბურთელები ახლა რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ კუნძულ ფიჯის გუნდებთან.

ევროპის ჩემპიონატი VII ჯგუფი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მეტად მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ირლანდიის ფეხბურთელებმა, რომლებმაც მეტოქის მინდორზე, გლაზგოში, ანგარიშით 1:0, დაამარცხეს შოტლანდიის ნაკრები. მასპინძელთა კარში ბურთი მე-7 წუთზე გაიტანა ლორენსონმა.

გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბელგია	3	1	2	0	9-3	4
შოტლანდია	4	1	2	1	3-1	4
ირლანდია	3	1	2	0	3-2	4
ბულგარეთი	2	0	2	0	1-1	2
ლუქსემბურგი	2	0	0	2	0-9	0

ოლიმპიური მატჩები

იტალიის ფეხბურთელებმა მომავალი ოლიმპიური თამაშების „ბ“ ჯგუფში შესარჩევი მატჩი გამართეს პორტუგალიის გუნდთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. გოლი 72-ე წუთზე გაიტანა გალიამ.

ჰარი ლინეკერი — „სუპერბომბარდირი“

18 თებერვალს მადრიდში შეხვდა ესპანეთისა და ინგლისის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ინგლისელებმა ძლიერად ითამაშეს და ანგარიშით 4:2 (2:1) დაამარცხეს მასპინძლები. სტუმართაგან ოთხივე ბურთი ცნობილმა ბომბარდირმა ჰ. ლინეკერმა გაიტანა, ხოლო ესპანელთაგან — ბუტრაგენიომ და რამონმა.

ჰ. ლინეკერის ბოლოდროინდელ წარმატებებს უცხოეთის საფეხბურთო პრესა ფენომენალურს უწოდებს. ინგლისის ნაკრების ბოლო ექვს საერთაშორისო მატჩში მან 12 ბურთი გაიტანა. საინტერესოა, რომ ლინეკერი ამჟამად ესპანეთის „ბარსელონაში“ გამოდის და ოთხივე გოლი მან თავისი თანაგუნდელი მეკარის ა. სუბისარეტას კარში გაიტანა.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა მიგელ მუნიოსმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ლინეკერი ამჟამად საუკეთესო ბომბარდირია არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოშიც და სავსებით სწორად თამაშობდენ მისი პარტნიორები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა სნაიპერს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობები შეუქმნან. ესპანელთა მწვრთნელის აზრით შარადონა და ლინეკერი ახლა მსოფლიოში ყველაზე გამოჩენილი,

საინტერესო ფეხბურთელები არიან, ისინი ყოველნაირად ცდილობენ გაამდიდრონ ფეხბურთი, გაამრავალფეროვანონ თამაში და სიამოვნება მიანიჭონ მაყურებლებს.

ი. დერვალი — კონსულტანტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იუპ დერვალი მიიწვიეს თურქეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელის მუსტაფა დენიზლის მთავარ კონსულტანტად.

საინტერესო ისაა, რომ ი. დერვალი და მ. დენიზლი ერთ კლუბში სტამბოლის „გალათასარაიში“. მუშობენ, მაგრამ მ. დენიზლი იქ მხოლოდ მეორე მწვრთნელია, ი. დერვალი კი უფროსი მწვრთნელი.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია იმედოვნებს, რომ ი. დერვალის გამოცდილება ხელს შეუწყობს თურქეთის ეროვნული ნაკრების წარმატებებს საერთაშორისო სარბიელზე.

მეოთხე მწვრთნელი ერთ სეზონში

კიდევ ერთი, რიგით მეოთხე მწვრთნელი შეიცვალა მიმდინარე სეზონში მადრიდის „ატლეტიკოში“. ეს გუნდი ახლა მეზუთე ადგილზე იმყოფება ესპანეთის ჩემპიონატში და 11 ქულით ჩამორჩება ლიდერს — „ბარსელონას“, ასეთი მაჩვენებლები კი კლუბის ხელმძღვანელობას აშკარად არ აკმაყოფილებს. ამის გამო „ატლეტიკოში“ მწვრთნელებს ხშირად ცვლიან. კლუბის გულშემატკივრები ახლა იმაზე იტეხენ თავს, თუ რამდენ ხანს დარჩება გუნდის სათავეში ახალი მწვრთნელი ლუის არაგონესი.

ხენტო — კომპლექსის დირექტორი

მადრიდის „რეალი“ აშენებს დიდ სპორტულ კომპლექსს, სადაც იქნება ფეხბურთის მინდვრები, ჩოგბურთის კორტები, საცურაო აუზები, სხვადასხვა დარბაზები და ა. შ.

კომპლექსის დირექტორად დანიშნულია 60-იანი წლების ცნობილი ფეხბურთელი, მადრიდის „რეალის“ მარცხენა გარემარბი ფრანსისკო ხენტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ქულები თანაბრად გაიყვეს

გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები იმ გუნდებს შორის, რომლებიც VII-XII ადგილებისთვის იბრძვიან. 13-15 თებერვალს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

ფინსკი. ადგილობრივი რტი-სა და ალმა-ათის არმიელთა შეხვედრაში მეტოქეებმა ქულები გაიანწილეს. პირველი მატჩი სტუმრებმა მოიგეს 93:75, მეორე — მასპინძლებმა — 77:68.

კიევი. პრინციპულ ხასიათს ატარებდა „სტროიტელისა“ და მოსკოვის „დინამოს“ ორთაბრძოლა. ორი მატჩის ჯამში აქაც თანაბარი ანგარიშია. ჯერ [illegible] ჯგუფს — 88:72, მერე კი უკრაინელმა კალათბურთელებმა — 108:101.

ვილნიუსი. ვერც მესამე წყვილის შეხვედრებში გამოვლინდა უძლიერესი. „სტატიბამ“ პირველი მატჩი მოიგო — 89:78, მეორე კი დათმო — 74:86.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
ასკ (კიევი)	28	14	14	42
„დინ“. (მოსკოვი)	28	12	16	40
„სტატიბ.“ (ვილნ.)	28	12	16	40
„სტროიტ.“ (კიევი)	28	10	18	38
რტი (მინსკი)	28	9	19	37
ასკ (ალმა-ათა)	28	9	19	37

ევროპის ტურნირები

საბონისის გარეშე

კაუნასი. ბოლო დროს ერთი რამ აშკარად დადგინდა. „ჟალგირისის“ კალათბურთელებს თავიანთი ლიდერის საბონისის გარეშე თამაში უჭირთ როგორც საკავშირო ჩემპიონატში, ისე ევროპის საკლუბო ტურნირში. საბონისი მართლაც დიდი ძალაა, მაგრამ ამჯერად იგი დაშავებულია და გუნდს რამდენადმე ღირსეული შემცვლელი არ აღმოაჩნდა.

ერთი სიტყვით ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის ბოლო სამ მატჩში „ჟალგირისს“ თავისი რეპუტაციისა და ძველი სახელის აღსადგენად გამარჯვებები სჭირდებოდა, მით უფრო, რომ სამივე შეხვედრას იგი შინ ატარებდა.

19 თებერვალს ლიტველთან ბეტოქე იუგოსლავიის „ზადარი“ იყო. ამ შეხვედრის ბედი ფაქტიურად პირველსავე ტაიმში გადაწყდა. რომელიც სტუმრებმა 21 ქულით მოიგეს (41:20). „ზადარმა“ უპირატესობა შესვენების შედეგაც შეინარჩუნა და გაიმარჯვა — 88:70.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ასეთი წარუმატებელი თამაში მართლაც მოულოდნელია. ფინალური ტურნირის რვა მატჩიდან მან მხოლოდ ორი მოიგო.

საკავშირო პირველობებზე

1987 წლის სპორტული სეზონი ძალას იკრებს. ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა საკავშირო პირველობები, რომლებშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. გთავაზობთ ინფორმაციებს აჭ შეჯიბრებების შესახებ.



ლუცკში (უკრაინა) დამთავრდა 1967-1969 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა პროფკავშირების საკავშირო პირველობა. შეჯიბრებაში საქართველოდან რვა მონაწილე იყო დაშვებული, მათგან ოთხმა საპრიზო ადგილი დაიკავა.

86 კგ წონით კატეგორიაში გამორჩეულ წარმატებას მიაღწია თბილისის „ლოკომოტივის“ წარმომადგენელმა გელა ტყემალაძემ. მან ექვსი შეხვედრა ჩაატარა, ექვსივე წმინდად მოიგო და თავის წონაში პირველი ადგილი დაიკავა.

გორის „განთიადის“ წარმომადგენელს მამუკა მაზმიშვილს 78 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი ერგო, თბილისელი ოლეგ რატინი კი ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა. მესამე ადგილი ხვდა წილად გორის ბურევესტნიკელ ალექსანდრე დონგუზაშვილსაც (95 კგ.). საქართველოს პროფკავშირთა ნაკრებს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ: უფროსი მწვრთნელი რ. ფუხაშვილი (თბილისი), მწვრთნელები ი. წიკლაური (გორი) და ვ. გაბუნია (ქუთაისი).

მარტში, იმავე ლუცკში, ამ ასაკის ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა გაიმართება. ზემოჩამოთვლილ პრიზიორთა გარდა საქართველოს ათლეტთაგან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ა. ტოტიკაშვილი (მარტყოფი), ზ. ვაზაგაშვილი (გორი), გ. კოღუაშვილი (ქუთაისი), რ. თანდიაშვილი (თბილისი) და სხვები.

ს ურ ა თ ზ ე: გელა ტყემალაძე.

ველოსპორტი

ამ დღეებში ლვოვში ჩატარდა იუნიორთა საკავშირო პირველობა ველოსპორტში (ტრეკი). ამ შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა თბილისის 54-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ მამუკა ყურაშვილმა. ჯგუფურ რბოლაში 45 წრეზე (9 საშუალო ფინიშით) მან II საპრიზო ადგილი დაიკავა — 26 ქულა.

თბილისელ ველოსიპედისტს 2 ქულით გაუსწრო და პირველი ადგილი დაიკავა უკრაინელმა იგორ პოსიდელოვმა, მესამე ადგილი კი სომხეთის წარმომადგენელს სტანისლავ სემიონოვს ერგო — 20 ქულა.

კლასიკური ჭიდაობა

მინსკში გაიმართა შეიარაღებული ძალების პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში იუნიორთა შორის. სარბიელზე გამოვიდა 8 გუნდის 140 მოჭიდავე. გუნდურ შეჯიბრებაში დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მოჭიდავეებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლუდვიგ ხართიშვილი). პირად ტურნირში მათ 4 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. პირველ ადგილებზე გავიდნენ ხ. ახმედოვი (48 კგ), ა. მანუკიანი (57 კგ), მ. იხკანდერიანი (68 კგ) და თ. თედორაძე (100 კგ), მეორეზე — ზ. კურდღელაშვილი (62 კგ) და მ. ხარჭისიანი (90 კგ), მესამეზე — ა. ბაბალარიანი (82 კგ) და დ. სანოძე (130 კგ).

ᲨᲐᲨᲘ-ᲠᲔᲜᲔᲓᲘᲣ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

შაში-რენჟიუს თამაშის წესები ახსნილი იყო „ლელოს“ 15 იანვრის და 10 თებერვლის ნომრებში. ახლა კი გთავაზობთ კონკურსს.

ამოხსნაში ყველა ვარიანტი უნდა იყოს გარჩეული. შავების სვლები აღინიშნება შავი ან ლურჯი წრით, თეთრების — წითელი წრით. ყოველ შემდეგ სვლას (და არა წყვილს, როგორც ეს ჭადრაკშია) აქვს თავისი ნომერი. ეს ნომერი უნდა ჩაიწეროს წრის შიგნით.

თეთრი წერტილით აღნიშნული კოჭი დგას ცენტრში.

პასუხი უნდა დაიწეროს უჯრებიან ფურცელზე. გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზები და სიგელები. თანრიგები მიენიჭებათ თანრიგთან შეფარდებით შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ამოხსნილია ამოცანა	1	2-3	4-5	6-7	8-9	10
კიუ	10	9	8	7	6	5
თანრიგი				4		3

ამოცანებში შავები იწყებენ და იმარჯვებენ, ამოცანის პასუხები უნდა გამოგზავნოთ გამოქვეყნებიდან სამი კვირის განმავლობაში.

ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ.



დიაგრამა № 1.



დიაგრამა № 2.



დიაგრამა № 3.

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ?

სამმა მოჭადრაკემ — დიულა საქსმა, იოუეფ პინტერმა (ორივე — უნგრეთი) და ვენცისლავ ინკიევმა (ბულგარეთი) — მოიპოვა მოჭადრაკე ვაუთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონთაშორისო ტურნირის საგზური. მათ გაიმარჯვეს უნგრეთის დედაქალაქში გამართულ ზონალურ შეჯიბრებაში, რომელშიც 24 მოჭადრაკე, მათ შორის 18 დიდოსტატი მონაწილეობდა.

შესარჩევი ტურნირის მეოთხე მონაწილის ვინაობა ჯერჯერობით გაურკვეველია. ამ საგზურზე პრეტენზიას აცხადებენ ვლოძიმეუ შმიდტი (პოლონეთი), კირილ გეორგიევი (ბულგარეთი) და მიხაილ მარინი (რუმინეთი). მათ II-IV ადგილები გაიყვეს „ა“ ჯგუფში, სადაც 2 საგზური თამაშდებოდა. სწორედ ამ შეჯიბრებაში აჯობა ყველას საქსმა. ახლა ეს სამი მოჭადრაკე ორ-ორ წრედ შეხვდება ერთმანეთს.

პინტერმა და ინკიევმა „ბ“ ჯგუფში გამოიჩინეს თავი. საქსმა და პიტერმა 11-11 შესაძლებლიდან 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს, ინკიევმა — 7. მეოთხე საგზურის მაძიებელ სამ მოჭადრაკეს 6-6 ქულა აქვს.

ეს გახლდათ მესამე ევროპული ზონის შეჯიბრება. სულ ასეთი 14 ტურნირია. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ცალცალკე ზონები აქვთ შექმნილი. ჩვენი დიდოსტატებისა და ოსტატებისთვის ასეთი ზონალური ტურნირი იქნება ქვეყნის ჩემპიონატი, რომელიც მარტში მინსკში აიღებს სტარტს.

ამასობაში დაიწყო ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპი. უნგრეთის ქალაქ ბალატონფელდვარში საათები ჩართეს ზონალური ტურნირის მონაწილეებმა. შეჯიბრებაში გამოდიან ამ ქვეყნის ცნობილი მოჭადრაკეები ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი, ილდიკო მადლი, მარია ივანკა და სხვები, აგრეთვე, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, მათ შორის, გერტრუდა ბაუმტარკი, მალგოჟატა ვიზე, მარგარეტ მურეშანი, ელეშკა კლიმოვა... სულ 17 მოჭადრაკე იბრძვის 4 საზონთაშორისო საგზურისთვის (საკდესი).

ᲡᲐᲒᲖᲣᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲡ

სოხუმსა და ხაგარეჯოში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები, რომელთაც უნდა დაესახელებინათ ფინალური შეჯიბრების 4 (თითოეული ტურნირიდან 2-2) საგზურის მფლობელი.

ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ორივე საგზური მოიპოვეს თბილისელმა მოჭადრაკეებმა ლია სადუნიშვილმა და ლელა თანდაშვილმა. მათ დაუმარცხებლად იასპარეზეს და 12-12 შესაძლებლიდან 10,5-10,5 ქულა მოაგროვეს. გამარჯვებულებს ნახევარი ქულით ჩამორჩა ქუთაისელი ელენა ფახიროვა.

ტურნირზე ყველას ყურადღება მიიპყრო 7 წლის ქუთაისელი პირველთანრიგოსნის, ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის პირველკლასელის სოფიკო ტყეშელაშვილის თამაშმა. სოფიკო ელენა ფახიროვას შეგირდია და ყველა მონაცემები აქვს საიმისოდ, რომ სულ მალე გამოიჩინოს თავი თანატოლთა და ასაკით უფროსებთან პაექრობაში.

ᲮᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲨᲘ 16 მოჭადრაკემ მიიყარა თავი. აქ 13 ქულით პირველობა ქუთაისელმა თეა ლანჩავამ მოიპოვა. 12-12 ქულა მოაგროვეს და II-III ადგილები გაიყვეს მაია ხუციშვილმა (გარდაბანი) და მირანდა თავაძემ (თბილისი). უკეთესი კოეფიციენტის გამო II ადგილი ხუციშვილს მიეკუთვნა.

ამრიგად, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა 43-ე ჩემპიონატის (7-29 მარტი, თბილისი) 4 საგზური მოიპოვეს ლია სადუნიშვილმა, ლელა თანდაშვილმა, თეა ლანჩავამ და მაია ხუციშვილმა.

ᲛᲐᲘᲐ ᲛᲔᲚᲮᲘᲐ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲐᲡᲣᲯᲠᲔᲓᲘᲐᲜ ᲨᲐᲨᲨᲘ

ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ

ᲓᲐᲣᲑᲐᲕᲠᲘᲚᲘ (ლატვია), **20 თებერვალი (დეპეშით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).** გრძელდება 100-უჯრედიან შაშში სსრ კავშირის ვაუთა ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი. გათამაშდა V-VI ტურების პარტიები.

V ᲢᲣᲠᲘ: ვალნერისი — ა. ერმაკოვი 1:0, მოგილიანსკი — ბეზვერშენკო 1:0, შულმანი — ბუჟინსკი 0,5:0,5, ჩიჟოვი — ბერიშვილი 0,5:0,5, მიშჩანსკი — განტვარგი 0,5:0,5, ვერხოვიხი — ბერჩისი 0,5:0,5, ვირნი — ი. ერმაკოვი 0,5:0,5, კორონევსკი — ბალიაკინი 0,5:0,5. გადაიდო პრესმან-ბრომბერგის პარტია.

VI ᲢᲣᲠᲘ: ბალიაკინი — მოგილიანსკი 0:1, ი. ერმაკოვი — კორონევსკი 0:1, ბუჟინსკი — ბეზვეშენკო 0,5:0,5, ბერჩისი — ვირნი 0,5:0,5, ბრომბერგი — ვერხოვიხი 0,5:0,5, ა. ერმაკოვი — პრესმანი 0,5:0,5, განტვარგი — ვალნერისი 0,5:0,5, შულმანი — ჩიჟოვი 0,5:0,5. მწვავედ მიმდინარეობდა ბერიშვილ-მიშჩანსკის ორთაბრძოლა, მეტოქენი ორმხრივ ცაიტნოტში მოექცნენ. საბოლოოდ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია უპირატესობას და მეტოქენი დაზავდნენ.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ დაწინაურდა ტუნდის ვალნერისი (რიგა) — 4. 3,5-3,5 ქულით ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან ელექსეი ჩიჟოვი (უსტინოვი), ალექსი ვერხოვიხი (კალინინი), ვადიმ ვირნი (ხარკოვი), ალექსანდრე მოგილიანსკი (რიგა), ედვარდ ბუჟინსკის (ვილნიუსი) 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 3-3 ქულით VII-XI ადგილებს იყოფენ ჯუმბერ ბერიშვილი, ანატოლი განტვარგი, მარკ შულმანი, იური ერმაკოვი (სამივე — მინსკი) და მიხაილ კორონევსკი.

ᲐᲠᲢᲣᲠ ᲑᲝᲘᲮᲜᲐᲜᲘ.

ᲧᲕᲔᲚᲐ „ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ“

სიეტლში (აშშ) გაიმართა ტრადიციული 37-ე შეხვედრა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დივიზიონების „ვარსკვლავთა“ („ოლსტარტზი“) შორის.

ბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა. შეხვედრის ძირითადმა დრომ უღალიერესი ვერ გამოავლინა — 140:140. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი დრო, რომელმაც წარმატება დასავლეთის „ვარსკვლავთა“ გუნდს მოუტანა — 154:149.

ეს მატჩი გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს (ფრჩხილებში აღნიშნულია თუ ვინ რამდენი ქულა შესძინა თავის კოლექტივს). **დასავლეთი:** ჩამბერსი (34), ოლაჯუონი (10), უორთლეი (22), ჯონსონი (9), რობერტსონი (6), ჯაბარი (10), დევისი (9), ფლოუდი (16), აგუირე (9), კეროლი, ბლაკმანი (29), ენგლიში. მწვრთნელი — პ. რილეი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“). **აღმოსავლეთი:** ბერდი (18), უილკინსი (10), მელოუნი (27), ირვინგი (22), ჯორდანი (11), თომასი (16), მაკ-ჰალე (16), ლაიმბერი (8), მელოუნი (6), ბარკლეი (7), ჩექსი (4), პარიში (4). მწვრთნელი — კ. ჯონსი („ბოსტონ სელტიქსი“).

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ.

ᲩᲔᲚᲔᲑᲘᲡᲘ — ᲔᲙᲘᲛᲘᲡᲬᲕᲔᲚᲘ

ᲒᲝᲚᲪᲐᲜᲝ. იტალიის ამ ქალაქში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელიც მეორე ქვეჯგუფში გამოდის, უკვე ორი შეხვედრა მოიგო (საფრანგეთთან — 29:19, იაპონიასთან — 31:14) და ფინალში თამაშის უფლება გაინაღდა.

ᲝᲒᲔᲠᲡᲢᲓᲝᲠᲤᲘ. მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამჯერად ისინი შესამე ადგილზე გავიდნენ ორშიდელთა გუნდურ შეჯიბრებაში. ოქროს მედალი გფრ-ის სამეულმა დაისაკუთრა, ვერცხლისა კი ნორვეგიის გუნდმა.

ᲓᲔᲚᲘ. მაგიდის ჩოგბურთელთა 39-ე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს. როგორც ქალებმა, ისე ვაჟებმა ტაილანდის გუნდები დაამარცხეს. ქალთა შეხვედრის ანგარიშია — 3:0, ვაჟთა კოლექტივებისა კი — 5:0.

ᲘᲡᲔᲕ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ

ფინეთმა სრულიად მოულოდნელად თქვა უარი მაგიდის ჩოგბურთელთა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებაზე. სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ, რომელიც ამ განცხადების შემდეგ ჩიხში აღმოჩნდა, დახმარებისათვის მიმართა შვეიცის ეროვნულ ფედერაციას.

როგორც ცნობილია, სკანდინავიის ეს ქვეყანა მსოფლიო ჩემპიონატს 1985 წელს მასპინძლობდა. სპეციალისტთა აზრით, ტურნირმა, რომელიც ჩინებულად იყო ორგანიზებული, მაგიდის ჩოგბურთის პოპულარობა ერთი-ორად გაზარდა. შექებით წახალისებულმა შვედებმა ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის ჩატარება გადაწყვიტეს. თუ საჭირო იქნება, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს ორი წლით ადრეც მივიღებთ, განაცხადა შვეიცის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ამით მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობაზე, ფაქტიურად, დასტური მისცა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲐᲖᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

გარდაიცვალა საქართველოს ჩემპიონი სამბოში, სპორტის ოსტატი გოგი ეფრემის ძე მაზანიშვილი. წავიდა ჩვენგან ჯანღონითა და სიცოცხლით სავსე კაცი, რომელიც წლების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

გოგი მაზანიშვილი დაიბადა 1945 წელს, გურჯაანის რაიონის სოფელ მახარაძეში. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლის გასაგრძელებლად თბილისში გადმოვიდა, მიიღო უმაღლესი ფიზკულტურული და იურიდიული განათლება. პარალელურად ვარჯიშობდა „დინამოში“, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. მაზიაშვილის ხელმძღვანელობით.

მაზანიშვილი წარმატებით გამოდიოდა „დინამოს“ საკავშირო პირველობებში, იყო ამ შეჯიბრებათა პრიზიორიც, მერე, როცა სპორტს თავი მიანება, რუსთავში დაიწყო მუშაობა სპეციალობის მიხედვით, თან ადგილობრივი „დინამოს“ სამბისტებსაც ავარჯიშებდა.

ენერგიული და საქმიანი კაცი დიდხანს ემახსოვრებათ ნაცნობ-ნეგობრებს.

ᲡᲐᲛᲑᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲫᲚᲔᲝᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ

28 ᲬᲚᲘᲡ იაპონელმა ალპინისტმა ქალმა სეიკიჩი კიტომორამ 26 დღე გაატარა უფსკრულში. ორდღიანი იერიშის შემდეგ მან დაიპყრო მწვერვალი არახიტაკა (2.413 მეტრი), მაგრამ უეცრად დაკარგა გონება... როცა გამოფხიზლდა, მიხვდა, რომ 300 მეტრი სიმაღლის უფსკრულში იმყოფებოდა. ალპინისტმა ქალმა, თითქმის ერთი თვე გაძლო მშიერმა, სვამდა მხოლოდ წყალს, მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობა არ შერყეულა.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები 15 თებერვალს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, VII ტირაჟებისა.

„სპორტლოტო 6 45“-დან: გაიყიდა 9 030 610 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (71 ბარათი) მოგება 853 მანეთია, ოთხისთვის (3 507) — 25, სამისთვის (52 166) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 9 030 610 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (32 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (7 197) — 134, სამისთვის (237 312) — 6.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 2 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 21 თებერვალი. დილის დაჭურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.35 (2);** სპორტი და პიროვნება — **12.45 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ვაჟთა რბოლა 50 კილომეტრზე (გადაცემა გფრ-დან) — **15.50 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა, პირველი პერიოდი — **18.00 (2);** მეორე და მესამე პერიოდები — **18.50 (1).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 21 თებერვალი. სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: ცსკა — „დინამო“ (თბილისი). 20 თებერვლის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი — **21.25.**

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“;

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უი 06784